თბილისელები ქულებს აგროვებენ

17 სექტემბერს თბილისის “დინამო” სტალინოს “შახტიორის” წინააღმდეგ თამაშობდა. გუნდის შემადგენლობა ოდნავ შეიცვალა: ღოღობერიძე ნახევარდამცველად გადავიდა, ხოლო მისი ადგილი თავდასხმაში პაიჭაძემ დაიკავა. ამის შედეგად თავდასხმის ხაზი ასეთი იყო: ჯოჯუა, მახარაძე, ზაზროშვილი, პაიჭაძე, თოდრია. ეს ხუთეული მეტად ძლიერია, მაგრამ აქვს ნაკლოვანებაც. თითოეული მათგანი შემტევი, აგრესიული ტიპის მოთამაშეა და მეტწილად მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის მახლობლად მოქმედებს. ამიტომ ისინი საგრძნობლად შორდებიან ნახევარდამცველებს და მოედნის შუაგული ცარიელი რჩება. თუ ამას დავუმატებთ, რომ ტანტიბას ხშირად უხდებოდა ცენტრალური დამცველის ზონაში უკანდახევა, ცხადი გახდება, რომ მარტო ღოღობერიძეს ყოველთვის არ შეეძლო შეეკავშირებინა დაცვა და თავდასხმა. ამის გამო თამაში მოკლებული იყო კომბინაციურ სიმდიდრეს და ანგარიში 5:0 (თბილისელთა სასარგებლოდ) “შახტიორის” სისუსტით უფრო აიხსნება, ვიდრე თბილისელთა შეწყობილი თამაშით.

მატჩის პირველი წუთებიდან ინიციატივა “დინამოს” ჰქონდა. თავდამსხმელები განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ კომბინაციის ბოლო ფაზაში გადაცემა ზუსტი არ იყო. მე-8 წუთზე სტუმრების ერთ-ერთი დამცველი საჯარიმო მოედანზე ბურთს ხელით შეეხო. დაინიშნა 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რაც ღოღობერიძემ შესანიშნავად გამოიყენა. მეორე ბურთი ზაზროშვილმა გაიტანა. მან იშვიათი სილამაზის “ფინტი” გააკეთა. გაუსხლტა ორ დამცველს და “შახტიორის” ბადეში ბურთი გაახვია. სამი წუთის შემდეგ მახარაძემ ანგარიში სამამდე გაზარდა.

ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა პაიჭაძე მარცხენა ფრთიდან გაიჭრა კარისაკენ. იგი წააქციეს. “დაზარალებულმა” თვითონვე მიაწოდა საჯარიმო და მახარაძემ მეოთხედ დააწყებინა სტუმრებს ცენტრიდან თამაში.

მეორე ტაიმი “შახტიორის” შეტევით დაიწყო. მარღანიამ რამდენიმე ძლიერად დარტყმული ბურთი აიღო.

მე-15 წუთზე სტუმრების კართან დაძაბული მომენტია. რამდენიმე ბურთს იგერიებს მეკარე პესკოვი. მაგრამ ზაზროშვილი მაინც ახერხებს მე-5 გოლის გატანას.

ამჟამად თბილისის “დინამოს” 30 თამაშის შემდეგ 33 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-7 ადგილი უკავია.

ბ. ქორქია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 20 სექტემბერი, 1949 წ.